გამარტივებული შესყიდვის საშუალებით
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №25

ქ. აბაშა

06 მარტი, 2019 წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2019 წლის 6 მარტს
ერთის მხრივ აბაშის მუნიციპალიტეტის მერიასა, (შემდგომში „შემსყიდველი")
მისამართი: ქ. აბაშა, ტ. დარასელიას ქ. №1;
საიდენტიფიკაციო კოდი: 222448643; მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა.
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში. ბანკის კოდი TRESGE22;
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი 200122900,
წარმოდგენილი – მუნიციპალიტეტის მერის ლევან მაკალათიას სახით,
და მეორეს მხრივ ი.მ "ასმათი გიორგობიანს" შორის(შემდგომში „მიმწოდებელი„)
მისამართი: ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის 50ა;
საიდენტიფიკაციო №60001116679, ანგარიშის NGE65TB7405736010100026
ს.ს. „თიბისი ბანკი", ბანკის კოდი: TBCBGE22.
და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

2. ხელშეკრულების ობიექტისა და კლასიფიკატორის კოდის დასახელება

№	CPV კოდი	კლასიფიკატორის კოდის დასახელება	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება (ლარი)
1	39113500	ტაბურეტები	პუფი	2 ც	45	90
	ჯამი					90

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება (ფასი)

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 90.00 (ოთხმოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

4. საქონლის ხარისხი და სტანდარტებთან შესაბამისობა.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი უნდა იყოს ახალი და შეესაბამებოდეს მისთვის დადგენილ ნორმებს და მოქმედ სტანდარტებს.

5. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

- საქონლის მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 15 მარტის ჩათვლით.
- მიწოდების ადგილი – ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის 50ა.

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

საქონლის მიწოდება დასრულებულად ჩაითვლება მიღება–ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.
დოკუმენტების ჩამონათვალი რომელთა საფუძველზეც მოხდება შესყიდვის ობიექტის ჩაბარება:

- მიღება–ჩაბარების აქტი;
- სათანადო საგადასახადო დოკუმენტი

მიღება-ჩაბარების პროცესში მონაწილე მხარეები:

- „შემსყიდველის“ მხრიდან: კონტროლის ჯგუფი
- „მიმწოდებლის“ მხრიდან: ი.მ ასმათი გიორგობიანი

7. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და ადგილი

- ანგარიშსწორებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
- სათანადო საგადასახადო დოკუმენტი
- მიღება-ჩაბარების აქტი
- მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
- ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
- ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;
- ანგარიშსწორების ადგილია – ქ. აბაშა. ტ. დარასელიას №1

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

„შემსყიდველს“ უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

„შემსყიდველი“ ვალდებულია „მიმწოდებლი“-ს მიერ სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ განახორციელოს ანგარიშსწორება.

„მიმწოდებელი“ ვადებულია:

- უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში.
- მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (კონტროლის ჯგუფის) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული საქონლის შეცვლა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

9.1თუ მიმწოდებელი გადააცილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, ან/და მიმწოდებელი გადააცილებს საქონლის მიწოდების ვადას 10 დღეზე მეტი ვადით, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვნად შესრულებისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9.4 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9.5 საჯარიმო სანქციის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით ან მისი მიერ ამ თანხის გადახდის გზით.

10. ფორს-მაჟორული სიტუაციები

ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა

- ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს უფლება არ აქვს ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები
- თუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში რომელიმე მხარე (გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო) მოითხოვს ხელშეკრულების პირობების შეცვლას ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
- ხელშეკრულების პირობების ნებისმიერ ცვლილება უნდა გაფორმდეს დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

- თუ მიმწოდებლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი ან მისი ნაწილი.
- თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

- თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან 2019 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

14. დავის გადაწყვეტის წესი.

შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ირგვლივ.

თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

15. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების კონტროლის პირობები

- შემსყიდველს ან კონტროლის ჯგუფს უფლება აქვთ განახორციელონ კონტროლი და/ან გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. შემსყიდველმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს, ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლების შესახებ.

- მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (კონტროლის) ჩატარებისათვის სამუშაო პირობებით.
- შესყიდვის ობიექტის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლი და მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება.
- სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

ყველა ზემოთ თქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად (ოთხ გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

„შემსყიდველი"

აბაშის მუნიციპალიტეტის მერი: ---------- ლევან მაკალათია

(ხელმოწერა ბ.ა.)

Abasha Municipality

Digitally signed by Abasha Municipality
Date: 2019.03.15 16:19:37 +04'00'

„მიმწოდებელი"

ინდივიდუალური მეწარმე: ---------- ასმათი გიორგობიანი

(ხელმოწერა ბ.ა.)